

გაზეთის ფასი:

გაზეთსა, გაზეთსაგანდ

კრთის წლის	6 მან.	კაპ.	5 მან.	კაპ.
სახეობის წლის	3 »	»	2 »	»
სამი თვის	1 »	75	4 »	50
კრთის თვის	»	60	»	50
ცალკე ნომრის	»	12	»	10

განცხადება, «დროებაში» დას-
ბეჭდვით, მიიღება სხვა და სხვა ენაზე. ფა-
სი განცხადების: ჩვეულებრივს სხვათა,
სტრატეგის 4 კაპ. და ახლა-მთავრებულით—
ახლაზე 1/4 კაპ.



დროება

საქართველო და საქართველო გაზეთი

წაღიწადი ძეგა

სედი-მაცრა

მიიღება თფილისში: დროებისა რე-
დაქციის კანტარში (გ. წყნეთის და ახლ.
სტამბაში, ბუბუთოვის სახლებში).

ქუთაისში: გერსიმე კალანდარი-
შვილთან (სახელდებულ სახლებში).
გარეშე მდებარეობს შემდეგი ადრესით უნ-
და გამოგზავნის: მოსკოვიდან: Вь Тиф-
лице. Вь контору редакцїи газетъ «ВРЕ-
МЯ», при управленїи Г. Церетелу.

გამოადის კვანძში ერთხელ, ზარასკობით.

შინადას:

საქართველო: კეთილი მოგუჯენა, — წერი-
ლი ამბები. — «დროების» კარგად დას-
ტყობა: სამეგრელოდამ, — მწერკეთილად. — რუ-
ხეთი: წერილი ამბები. — უცხო ქვეყნ-
ბი: საფრანგეთი, — ინგლისი. — სარეკი.
ფელტონი: სურათი მხედრო საქართვე-
ლოს ცხოვრებიდან — დ. მიქელაძის.

საქართველო

კეთილი მოგუჯენა

ამ ახალი წლის მეორე ნომერში ჩვენ შე-
გვიძლია ერთი ისეთი ახალი ამბის ცნობა,
რომელიც ჩვენი მკითხველსათვის, უცუველია,
სასიამოვნოდ დარჩება. ეს ამბავი შეეხება
ჩვენი თეატრის საქმეს: რამდენთავე პირთა,
რომელთაც ჩვენი დრამატული ლიტერა-
ტურის სიღარიბე და თან სცენის უფერულო-
ბა შეაწინააღმდეგებდა. ამ საქმის წარმატების თვალს, შე-
ძლებისა დაგვრათ, რამდენიმე მანეთი შე-
სწირეს და ამჟამად ოც თუმანამდე მოაგრო-
ვეს, იმ განზრახვით, რომ ეს ფულიები მიეცეს
ისეთს მწერს, რომელიც საუკეთესო დრამ-
მატიულ თხზულებას დასწერს ჩვენი ცხოვ-
რებიდან. შემწირელების პირობით, იმ მწე-
რალმა, რომელიც რომელსავე დრამატული

თხზულებას დასწერს და ამ პრემიის მიღებას
ისურვებს, თავის თხზულება «დროების» რე-
დაქციაში უნდა წარადგინოს: «დროების»
რედაქცია თავის მხრით გადასცემს ამ თხზუ-
ლებას წინათვე ამორჩეულ კომისიას, რომელიც
დაფასებს და დასწერს — ღირსია ეს
თხზულება პრემიისა, თუ არა.

რასაკვირველია, ოცო და ოცდახუთი თუმ-
ანის პრემია ვერც ჩვენს სცენას და ვერც
ჩვენ ღარიბ დრამატულ ლიტერატურას მაგ-
დენათ ვერ წასწევს წინ და მართლა საგ-
რძნობელად ვერ დაეხმარება იმათ განცო-
ველებსა და გამდიდრებას. მაგრამ საქმე ამა-
ში არ მდგომარეობს: სასიამოვნო ის არის,
რომ ჩვენშია ალმოდენის ისეთი პირნი,
რომელთაც შეუძნევიან შემოსხენებულო ხა-
სიათის ლიტერატურის სიღარიბე და მსურთ
რითიმე იმის დახმარება. როგორც სასიამოვნო
და ლიტერატურაში აღსანიშნელი არ
არის ის გარემოება, რომ ჩვენშია ჩნდებიან
ისეთნი პირნი, რომელნიც საზოგადო საქმე-
ებში მონაწილეობის მიღებას მარტო მჭე-
რი და მხურვალე სიტყვების წამოსრლით
არ ათავებენ, არამედ თვით საქმით, თვით
მატერიალური შემწეობით ამტკიცებენ ამ
საზოგადო საქმეებისთვის თანაგრძობას?

ამას გარდა ეს პრემია, რაც უნდა მცირე
იყოს, უეჭველია, უნაყოფოდ მიიწივს არ
ჩაივლის არც თვითონ იმ საქმისთვის, რომ

ლისთვისაც ის პირ-და-პირ დანიშნულია. სხვა
დასხვა გარემოებათა წყალობით, რომლის
განმარტება აქ დღეს უადგილოდ მიგვიჩნია,
თითქმის ყველა ჩვენი ამ დროინდელი მწერ-
ლები ღარიბნი და შეუძლონი არიან. ვინ
იქნება რომელსავე იმათგან შეეძლოს
მშვენიერი დრამატული თხზულების დაწე-
რა და სურვილიცა ჰქონდეს ამისი, მაგრამ,
რადგანაც დარწმუნებულია, რომ ამგვარი
იმის შრომა მატერიალური მხრით დაჯილ-
დობული არ იქნება, ერიდებოდეს ამ შრო-
მას და ისეთს საქმეს ჰკიდებდეს ხელს, რომელიც
უფრო პურის მომცემი და ყოველი
კიცის მატერიალური მოთხოვნილების დამაკმა-
ყოფილებელია? კითხვით კი არა, ამის თქმა
დარწმუნებულად შეიძლება: სასწრაფოველი
ღარიბ-ძიების მოპოვების სურვილი ბევრ კაცს
ერთის მხრით ისეთი საქმისთვის აკიდებინებს
ხელს, რომელიც იმისთვის სრულიად სასი-
ამოვნო არ არის, და მეორეს მხრით ისეთს
საქმეს მოაზრობს, რომლისთვის შრომა იმას
ათასწილად უფრო სასიამოვნოდ დაუბრ-
და, თუ რომ ამ საქმეში ეს მატერიალური
მხარე არ გარეულოყო.

ამასადაღე ეს პრემიის დანიშნვა ერთის
მხრით ძლიერ სასიამოვნოა, რადგან ის საზო-
გადოების კეთილ მიდრეკილებას მოასწავებს
და მეორეს მხრით ცოტათი მიიწივს სასარგებ-
ლოც იქნება ჩვენი სცენისათვის.

ჩვენ დაგვჩნა მხოლოდ იმის ნატვრა, რომ
ამ კარგ საქმეში სხვებსაც მიეღოს მონაწი-
ლეობა, და ამ საჩუქრის ღირსი მწერალი მა-
ლე გამოჩენილიყოს. ვისაც ამ საქმის თაობა-
ზე უფრო დაწვრილებული ამბის შეწყობა
მსურს, ან ჩვენი ცხოვრებიდან დრამატული
თხზულებათა გამრავლებას თანაგრძობას
და ამისთვის ფულების შეწირვას მონადომებს,
ესთხოვთ «დროების» რედაქციაში მიმარ-
თოს.

ბ. მ.

ციურინიდან ერთი ძლიერ საწუხარო ამ-
ბავი მოგვიყვია: იტალიის შეიქცარიაში, ქა-
ლაქს ლოკარნოში მომკვდარა ერთი ჩვენი-
ნებური ყმაწვილი, გიორგი ძიგოვეი, რომელიც
ძლიერ საიმედო და კარგი ახალგაზდა
იყო. ძიგოვეი იყო ოსთავანი; 1870 წლამ-
დის სწავლობდა ერთს თფილისის გიმნაზიაში,
1870 წელს ის წაიდა შეიქცარიაში უმაღლესი
სწავლის მისაღებად და უკანასკნელ დრომდე ე-
ნევაში ცხოვრებდა. იმის კერძო წიგნებიდან და
ამხანაგების სიტყვებიდან ცხადი დასაწინი იყო,
რომ ძიგოვეი, ასე უღროდ რომ არ მომ-
კვდარიყო, უეჭველია, თავის დროზე კარგი და
ჩვენი ქვეყნისათვის სასარგებლო წევრი შე-

ფელტონი

სურათი

ოსმალთა საქართველოს ცხოვრებიდან.

დარწმუნებული ვარ, ბევრი საბატო და
დარბაისელი აღამიანი მონახება ჩვენში,
რომელსაც არც კი გაუგონია, რომ რამდენ-
იმე ასი ათასი ქართველი კაცი, მისი ძმები
ოსმალეთის ხელშია დღესაც. ჩვენს საზოგა-
დოებაში იშვიათად შეხვდებით იმისთანა
პირს, რომელსაც შეეძლოს გითხრას: რომ-
მელმა უბედურმა ისტორიულმა შემთხვევამ
მოგვაგლიჯა გულზედ ეს ჩვენი ნათესავი
ხალხი? როგორი ბედისა იყო ის შემდგომი
და როგორ მდგომარეობაშია ეხლა?.. ჩვენ
ისე ძვირად გვესმის ხალხე მათი ცხოვრების
ამბავი, რომ გული არ მიტევს ერთი შემ-
თხვევა, რომელიც მათ პოლიტიკურ მდგო-
მარეობას გამოხატავს, არ გაიბოთ.

ამას წინეთ ვხივარ ერთ აქაურ ყაზახანაში და
ახლად მოსულს «დროების» ნომერს კითხ-
ხულობ. ვიდაც ჩემს გვერდით დაჯდა და
ყურება დაუწყო «დროების» ფურცლებს; მე
ყურადღებაც არ მიმიტყევია. მერმე, წარმო-
იდგინეთ ჩემი ვაოცება, როდესაც ახალმა
მეზობელმა წმინდა ქართლის ერთი მკითხა:
— «თქვენ ქართველი ბრძანდებით?..»

— დიდა, ქართველი ვახლავარ; თქვენ?
— მე, ჩემო შეილო, ოსმალთა საქარ-
თველოდამა ვარ; ავტო, ოც წელიწადზედ
მეტია, რაც ვადმოვარდნილვარ... თუ ვაგი-
გონია, ყაზილარ ფაშა, აი, იმის საქმეზედ
მიპირობდნენ დასჯას და, როგორც იყო, გა-
მოგასწარი ხონთქრის მტარავლებს. იმის შე-
მდეგ აღარ მინახავს ჩემი სამშობლო! თქვენ,
ქართველები, არც კი ჰკითხულობთ ჩვენს
ამბავს; არ იცით, რა ვაქირება გამოუყოლია
და ეხლაც როგორ შევაწოვებულია თქვე-
ნი ძმები, თქვენი ერთ-ხორცი და სისხლი!
იქნება, პირველად გესმის ჩემგან, რომ მათი
გული თქვენის სიყვარულითა და ერთგულე-
ბითა სძვრეს ნიდავ? თქვენ შესაძლებელია
არ იცოდეთ, რომ ოსმალთა საქართველოს
თქვენზედა აქვს სასოება და ცას-ქვეშეთში
თქვენს ვარა არავის შესცქერის თავის იმე-
დათ? დიდებული და სამართლიანი განგება
რათ ანებებს, რომ ჩვენი ბედი სამუდამოთ
დააშოროს ერთმანეთსა? რა დანაშაულობა
აქვს ჩვენს ხალხს კაცობრიობის წინაშე,
რომ ის ნიდავ დათხრეშილი და მონაობა-
ში იქნეს? არა, ეს შეუძლებელია! მე რომის იმე-
დი არ მაშინეებდეს, რომ ჩვენ ერთდროს შეგი-
ერთდებით და ძმურად ვიცხოვრებთ, —
იმედი რომ არა მქონდეს, ამდენს ხანს თორ-

მეტჯერაც ჩაივლოდა სამარეში... საუკუნო-
ბით დაშორებული ძმები ისევე ჩავეხვევით
ერთმანეთსა ძმურის სიყვარულით და ჩვენს
ცხოვრებას ერთი მაჯის ცემა ექნება! ოს-
მალთს დიდი ხანი აღარა აქვს; დღეს არის,
თუ ხვალ, ეს სხვა და სხვა ტომისაგან შე-
წებებული სახელმწიფო უნდა დაიხრეს;
მისი აღსასრულის ქამს მალე დაჰკრავს შე-
ციური ხარი... იქნება, მე ვერც მოვესწრო
ამ ბედნიერს დღეს, მოეზუტდი... მაგრამ,
გახსოვდეთ თქვენი ძმები, შეილო...»

ჩემს ვაკვირებას საშლგარი არ ჰქონდა.
როდესაც შეესცქეროდი ამ პატოიანი მო-
ხუცის კეთილშობილურს სახეს, მის ენერგი-
ულს და წმინდა ქართული ენით ლაპარაკს;
ჩემთვის ერთობ საინტერესო იყო ამისთანა
კაცის ნამბობი ჩვენ ნათესავ ქვეყანაზედ და
ეთხოვე, ეთქვა თავისი ვადმოვარდნის მიზე-
ზი, იქაური ხალხის მდგომარეობა. ვარდმო-
ცემთ, სიტყვიდგან სიტყვიდგან, რაც მახ-
სოვს:

«ხონთქრის ფორმანით, ჩვენ, ოსმალთა
ქართველებს, მონიჭებული გვექონდა უფლება
სანდო კაცების აღმორჩევისთვის ჩვენს შო-
რის; ისინი ვადდებულნი იყვნენ ხალხის სა-
ქირავებისათვის ეშუამდგომლოთ მთავრობას-
თან, დეცვათ მისი სარგებლობა. მათ შეეძ-
ლოთ, თუ რომელიმე ცუდი ხონთქრის

მმართველი შეაწუხებდა, დაიხრავდა ხალხს,
პირველი ვეზირისთვის მოხსენებნათ, და ამის-
თანა მმართველს ხშირათ პანდურს ამო-
კრავდნენ და გააგებდნენ მხარიდგან. რასაკვი-
რელია, ესრეთი ხალხის შესაზღვრა სხვა და
სხვა ოხერ ფაშების თვითმნიებლობისაგან
სასარგებლო იყო ქვეყნისათვის, სანამ იმ
ჩვენმა დამლუპველმა ნიმარბემ, ჩვენ გა-
მორჩეულ კაცმა, არ გვილაპტა და, ხალხის
დაფარვის მაგიერად, მტრობა არ დიუწყო მას.
იცი, შეილო: რაც გინდა კეთილი რამ
იყოს, ბოროტი აღამიანის ხელში სულ წინა-
აღმდეგ ნაყოფს მოიტანს ისა! სწორეთ
ჩვენი საქმეც ასე იყო... ნიმარბეი რომ
აღმოვიჩივთ, ვფიქრობდით: ამის გულში
ჯერ ბოროტება ბუდეს ვერ ჩაიდგამდა, ისე
ყმაწვილია, და იქნება, ის უბედურება, რაც
მაგის პაპამ უყო ჩვენ სამშობლოს, ის გა-
მოსყიდოს ქვეყნის ერთგული სამსახურითა,
თქო, მეორედ, პურ-ღინოს და ტბილ სიტ-
ყვას, ხომ იცი, როგორი ვადღენა აქვს გაუ-
ნათლებელ ხალხზედ და ეს თვისება — ორი-
ვე უხვათ იყო ნიმარბეის განკარგულებაში.
რამდენიმე წლის განმავლობაში, ნიმარბეი
მთავრობის წყალობით კისრამდინ აღიესო;
ყოველ წელში სამი და ოთხი ჯილოდ მო-
დიოდა... ვხვდებდით, რომ ეს კარგი ნიშანი
არ იყო ჩვენთვის, მაგრამ რას ვეძლოდით?



იქნებოდა. მაგრამ, როგორც ხშირათ, ამ შე-
მთხვევაშიაც უწყალო ბედმა ერთი საიმედო
კაცი მოგვტაცა...

ამ იანვრის 2-ს პეტერბურგში პირველი
ხუთ სარგებლიანი (5%) შინაგანი სესხის ტი-
რაცი იყო. მოგვეყვას გზ. «კავკასის» ტელე-
გრაფიამდამ უმთავრესი სია ამ ტირაჟის მო-
გებისა:

№ სერისა	№ ბილეთისა	ჯამი მოგებისა
13,031..	23	200,000
8,040.	40.	75,000
13,104.	36	40,000
13,043.	31	25,000
7,001.	50	
4,240.	11	10,000
16,140.	29	
7,262.	30	
4,732.	4	
19,517.	6	8,000
10,139.	47	
7,820.	9	
6,254.	36	
12,709.	16	
16,041.	32	
12,558.	8	5,000
1,164.	4	
7,260.	28	
2,157.	43	
9,074.	3	

თფილისის ქალაქის გამგეობაში ამ ჟამად
ორ ძლიერ შესანიშნავ საგანზედ არის მო-
ლაპარაკება: ერთი—ქალაქში წყლის გაყვანაზე
და მეორე გაზით გათავებაზე. ამბობენ, რომ
ცალკე დანიშნულ კომიტეტს ამ საგნების თა-
ობის პირობები შეუღებია იმათთვის, ვინც
ამ საქმეებს იკისრებს. უფ. ს. ამირაძე გაზ.
«კავკასში» იწერება: ძალიან კარგი იქნებოა,
რომ ამ საქმისათვის ჩვენვე შევადგინოთო აქ-
ციონერების კამპანია და ეს სასარგებლო
საქმე ჩვენვე ვაწარმოოთო. უფ. ამირაძისავე
სიტყვით, ამ საქმეს ერთ მილიონ ნახევრამ-
დი მანეთი მოუწდება.

გასულ კვირაში გამოვიდა მეორე წიგნი ჟურ-
ნალის «კავკასიის ძველი დროება» რომელშიაც
დაბეჭდილია: არხივისკოპოზისისოგებ არღუთი-
ნსკის წერილები საქართველოზედ 1795-1796წ
2) ყარაბაღელი სომხის მელიქები საქართვე-
ლოში 1800-1808 წ. 3) წვერისა და თმის

მოშვების ჩვეულება სომხებში; 4) ახატის
მონასტერი.

წასულის წლის დამლევს გამოვიდა მეექვსე
ნაწილი იმ გამოცემისა, რომელსაც ჰქვია სა-
ხელად: «კრება ცნობებისა კავკასიის მთიე-
ლებზე.» ამ წიგნში სხვათა შორის შემდეგი
სტატიებია დაბეჭდილი: (1) ახუხაზები; (2) განმარ-
ტება კავკასიის მთიელების კარტისა და თეი-
თან კარტა; (3) ჩვეულებანი კუმუკის მცხოვ-
რებლებისა; (4) ეკონომიური მდგომარეობა
სოხუმის მაზრის ხალხისა და სხვ.

თფილისელი კორრესპონდენტი გავითის
«ხმისა» შემდეგ ამბავს იწერება კასპიის ზღვის
მომავალი რკინის გზის პროექტის თაობაზე:
«ეს გზა პროხლადნის სტანიციამ (ყუბანის
მაზრაში) კასპიის ზღვის ნაპირა სპარსეთის
სამზღვრამდის უნდა გავიდეს. პრაზლადნიაში
ის როსტოვ-ვლადიკავკასის რკინის გზას შე-
უერთება და აწარმოებს კავკასიის აღმოსავლეთ
მხარეს გადასტრის და ერთის მხრით კავკასი-
ისა და მეორეს მხრით სპარსეთის ნაწარმოე-
ბებს გასაღების საშუალებას მისცებს. ეს პრო-
ექტი იმ კომიტეტს უნდა წარედგინოს, რო-
მელიც, კორრესპონდენტის სიტყვით, თებერ-
ვალში შეიკრიფება თფილისში და რომლის
თავს მჯდომარედ კავკასიის შტაბის უფროსი,
ლენერალ-მაიორი სვისტუნოვი იქნება.»

«დროების» კორრესპონდენცია

ხამგორელი, ნოემბრის დამლევს

ძველებურად ტირილის და ქორწი-
ლის მობრუნება ძვირ წელიწადში ძნელი
ასახსნელია, რადგან ეს სამი-ოთხი წელი წა-
დია, რაც ძალიან შემკირდენ ესენი საზო-
გადოდ ჩვენში და კიდევაც სრულიად გაქ-
რობაზედაც მიიკურწენ; მაგრამ წლეულის
შემოდგომამ გამოაჩინა, რომ იმათ ჯერ კიდევ
უდგიათ სული. ეს გამოჩენა, თუ მოცდილად
გაარკვია კაცმა, აღარც ისე გასაკვირია, რო-
გორც პირველად ეგონება, ამიტომ რომ
ხალხს არაფერი სხვა სახსარი არა აქვს ჯერ
ერთმანეთის ნახვის, გახედ-გამოხედვის, ამ-
ბის შეტყობის და შექცევის სამიზნო, თუ

არ ტირილზე, ქორწილზე და სოფლის დღე-
სასწაულებზე შეყრა: იმის ერთად-ერთი გა-
სართობელი, ჰაზრის მიმსამკლვეი ერთმა-
ნეთში, სამუსაფო, სამბო, სამაშუალო, სა-
სწაულებელი, სათამაშო, საჭიროების საჩი-
ვარი, თავის გამოსაჩენი, სალხინო, გასაცნობი,
დასახლოებელი და სარჩევი ადგილი არის
მარტო ეს—ტირილი-ქორწილი და დღესას-
წაული, თუ ქალაქობა რომელსამე ეკლესი-
ებზე (სენაკს, სუჯუქს, ალერტას, ჯვარს, ბან-
ძას და სხ.). ეს არის ამათი კლუბი, ბიბლი-
ოთეკა, აუდიტორია, გაზეთი, თეატრი, ბალი,
კონცერტი, ბირჟა, საზოგადო სეირნობა, კრე-
ბა და სხ.,—ერთი სიტყვით, საზოგადო საც-
ხორცებელი, სადაც შეიძლება თავის მსგავს
ტოლ-ამხანაგში ვართვა და ქცევა, როგორც
კაცის ბუნება საჭიროებს და რადგან ჩვენ-
ში საერთო ცხოვრება ერთმანეთობაში გაბ-
მით და მიმოსვლით სხვებ არ არის გახსნი-
ლი, სად უნდა მისწრაფოს კაცმა თვალის
გასახილავად, და ხმის ამოსაღებად, თუ არ
ჩვეულებრივ თავის მოსაყარ ქალაქობასა და
დღესასწაულებში და ან ქორწილსა და ტირი-
ლში, რომ რომლის სიმძიმე და ენება იგრძნო
ხალხმა, ამიტომ რომ ამ ყველა სახლის მო-
შორებული ხალხის უქმელობა არ მოახდება,
რადგან მშვიფი ვერაფერ დადგება და ვერც
სხვაგან აქ სადმე ქალაქივით იზოგნის ვინმე
აბუიცი მზა საქმელს, და, ამოდენი ჯარის,
ერთ ოჯახში შეკრებილის, მასპინძლობა
ძალიან ყუაზე გაიყვანს ხოლმე თავ-მოსუელ
მასპინძელს და ხან არც ამას დააჯერებს,—ვა-
ლის მუხრუჭშიდაც თავს გააყოფინებს.
ამის გამო კიდევაც დაეხსნა ამ უგანგებოს
და შეძლების გადაჭარბებულ ხარჯს, რომ
რამე სანაცლო გაეჩინა და ეშოვნა თავისი
ტინისა და გულის საძრავი და გასართობი.
მაგრამ ამისთანა მათ მაგიერი რაკი არაფერი
არ გაძეულა ჯერე, იმათ ძალიან დააკლდათ
ჩვეულებრივი ჭირი და ლხინის შეკრებილე-
ბის უყოფლობა და ისევ მოსურდათ ერთმა-
ნერთის თვალის ამგებნი სიმრავლის ნახვა და
გართვა, გულის პასუხის და ფიქრის განდობა
და გაგონება ერთი-მეორისაგან. ჩვეულებრივ
ტირილის და ქორწილის წვეულებას რომ ვერ
მორჩნენ, კიდევ უფრო ამის ბრალია, ნათქვა-
მებს გარდა, რომ ქორწილის შესაწევარი და

ტირილის გადასახურავი, როგორც ერთი მეო-
რის განწყობილების და ნამუსის სესხი, ერთ-
მანერთს ვერ შეარჩინეს, თუმც ეს უკანასკნე-
ლები ახლა და ახლა ერთობ გაწვილდენ;
ნამეტურ ამ ყოველ-ვიწროებაში «სირცხვი-
ლის მოსახოცი და სამღურავის დასახლებე-
ლი» ფულის მოგვარება კარგი საკმაოდ ძნე-
ლია. მაგრამ, ეს თავ-გამოდებული და გადამ-
ქიქული დაპატიების ხარჯი, რომელიც ცალ-
კე თვითოს და ერთად ყველას რომ უზო-
მოდ აღარბებს და ლევს ურგებად ბევრს
დროს, ძალას და მონაგებს, მერე კიდევ ამ
უღვირბაში,—ყველასთვის დიად საგრძ-
ნობელი ბეგარა არის, მაგრამ მაინც არ იქმნა
არა გაწყურა მისი უღლის გადადგებას და სამა-
გიეროს მიგნებას, რომელიც უფრო სარ-
გო და ნაკლებ საწინა ყოფილიყო სა-
ზოგადოებისათვის.

ღვინის სიძვირემ და სპირტის
სიხშირემ და შესადარმა სიიფემ ქვემოუ-
რების ცხოვრებაში ძალიან საწყენი და დასა-
ლანდელი ჩვეულება შემოიყვანა,—ჩვეულებ-
მა მაგარის, უცხო სასმელების ხმარებისა,
რომელიც მშობლიურს ტკბილსა და სუნელ
ღინოსავით არ შეერგება არცერთს ჩვენი
თფილი ჰაერის და მიწის ნაშობს და ნაზარდ
სხეულს, როგორც ცივი ჩრდილოეთის და
ნოსილიანი ბრიტანის შეილებს, რომლებსაც
ჰაერის სიმყინვარე და მიწის სიმწირის ბრძოლა-
ში გარჯილი ცხოვრება სთხოვს ბევრსა და
მსუქან საქმელს და სისხლის გამხურებელ
სასმელს, რომ სიცივეში სითფო და ღონე მიე-
ცესთ. და კიდევაც ამისთანა გარემოებაში ისე
ადვილად მოინელებს და გამოინთქეს ამ ხალხის
აგებულება, როგორც ზამთრის ყინვაში დიდ-
ძალ შეშას ბუხარი, მაგრამ ჩვენში ეს პილ-
პილივით მწარე და მწველი სასმელების გა-
დაყოლა იმისთანა უმგანი და უბუნებო საქ-
მეა, როგორც შუა ზაფხულის პაპანაქება
სიცხეში კაცმა ბუხარში საკრე დაანთოს და
შიგ თავი გამოიხაროს. კიდევაც ახლავ
დააჩინა თავის უბედური კვალი ამან ქვემო-
მხარეს, სადაც ბევრს მოუმოკლა დღე: აქ
ხშირად ისმის ჩივილი: «ამას სპირტმა გული
მოსწყვიტა, იმას გული მოუხარმა, ეს მოშა-
ლა, ის ააძგრა და ააქსინტა, ამას ხველა აუ-
ტეხაო» და სხ. ახლა აქ თითქმის არაფერი

დროს დასრულებამდი, არ შეიძლება და გა-
მოცელა; ჩვენებს სულ უფრო და უფრო
დაშორდა და დაუახლოვდა თათრებს; ამ სა-
წყალო კაცს სრულიად დაივიწყდა თავისი და-
ნიშნულება... წარმოიდგინე, სანამდის მიაღ-
წია ნიშარ-ბეის სიძულილმა თავის ქვეყნის
შეილებზედ და მთავრობასთან დამსახურების
სურვილმა! ერთხელ ვეზირს მისწერა, რაც
ჩვენში გამოჩენილი და ქვეყნის ერთგული
კაცები იყო, მათზედ: «თუ ესენი აქედგან არ
გარდასახლეთ, ისე აქ მშვიდობა არ იქნებაო».
მოგეცა სიცოცხლე, იმ მამაცხონებულ-
მა ვეზირმა საკადრისი პასუხი მისცა: «ამდენი
ღირსეული კაცის გარდასახლება, შენი
უსაფუძელო დაბეჭდებით, როგორ შეიძლე-
ბა? ხომ არ გაგიყვებულხარო?»

«ამბობდნენ, ვითომ ნიშარ-ბეის ოჯახში
ყოველ საღამოზედ აუარებელი შეკრებილე-
ბა იყო, და სხვა და სხვა ადგილები-
გან მშვიფიერ ახალგაზდა ქალებს პატივობ-
დაო; სულ განზრახვით შერებოდაო... ვითომ
მასპინძლები შემთხვევას აძლევდნენ თათრებს,
სტუმარ ქალებს დასახლოებოდნენ... მართა-
ლია, მაშინდელი თათრის მოსამსახურეები
და თითონ ფაშაც დიდად კმაყოფილნი იყვნენ,
ამ საღამოებისთვის... მაგრამ მე ერთ წამსაც
არ დავიჯერებ ამ ქორს.
ოჰ, ღმერთო! რა მწარე მისაგონია იმის-

თანადრო, როდესაც გულში ეჭვი შეგდის, რომ
შენი ძმები თავისი ცოლების, დების და ქა-
ლების სხეულს სილამაზით გზას უკაფენ...
სადაც მიღიან... უარესი თავს-ლაფ-დასხმა
შეიძლება კიდევდა?! საზოგადოების სინიდი-
სი ადელდა ნიშარ-ბეის მოქმედებით; ვინც
კი პატიოსანი და თავის სამშობლოს მოყვა-
რე იყო, ყველა ნიშარ-ბეის წინააღმდეგი შე-
იქნა. როდესაც ახალი გამოჩენის ედა მო-
ვიდა. ბევრი ცდა და ფულები დახარჯა ნი-
შარ-ბეიმ და მისმა მომხრეებმა, მაგრამ მაინც
გაუაზვეთ და აღმოგარჩიეთ ახალი კაცი
ისკანდერ-ბეი. არ ვიცით, რა განზრახვით, მაგ-
რამ ამან პირველი დღიდანვე ისე დამოუ-
კიდებელად დაიჭირა თავი, რომ მაშინდელ-
მა ფაშამ—ყაზილარ-ფაშა ერქვა სახელად—
უსიამოვნება დაუწყო ისკანდერ-ფაშას. დი-
დი ხანია იმისთანა რისხვა არ მოუტოვებია
ღმერთსა ჩვენი ქვეყნისთვის, როგორც ყაზი-
ლარ-ფაშის მართველობის დროს. ეს კაცი
ძალიან უფუნური, თავმოყვარი, გაუზრდელი
და უსამართლო რამ იყო; ამბობდნენ, უთუ-
ოდ ნიშამიდან არისო, თორემ მაღალი წო-
დების კაცი ამისთანა მუტრუკი როგორ იქნე-
ბოა... მაგრამ მერე გამოჩნდა, რომ სცდე-
ბოდნენ... აი, ამ ყაზილარ-ფაშას თავიდან-
ვე არ მოეწონა ისკანდერის მასთან თანა-
წორო და ამაყი განწყობილება; ის მიჩეუ-

ლი იყო ნიშარ-ბეისთან, როგორც თავის
მოსამსახურესთან მოპყრობას; რაც უნდა სი-
ბრიყვე ეთქვა, ან ექნა ფაშას, ნიშარ-ბეი სი-
ტყუასაც ვერ შეუბრუნებდა... ან კი, რა და-
ვა ჰქონდა...
ჩვენს დედა-მამაზედ არიან იმისთანა პი-
რები—და სამუხარო ის არის, რომ ესრეთი
პირები ხშირად ხალხის მმართველებად ხდე-
ბიან, განაგებენ მის ბედსა,—რომელნიც, თუ
ყოველ მათ სურვილზედ არ დაეთანხმეთ,
თითონ საიდუმლოების შეგინებათ მიაჩნიათ
ეს! თუ წელში გამართული იქნით და ფეხ-
ქვეშ არ დაგვით მათ, განიზრახვენ, რომ
ცას, ქვეყნითი აღარასფერს პატივს არა სცემთ,
მაშა სადამე მიგნებელი წვერი ხართ სა-
ხელმწიფოში! თუ მათი მსჯელობა არ მო-
გეწონათ, უზრდელი და გაუნათლებელი
ყოფილხართ! თუ დამოუკიდებელი და თავ-
ვისუფალი კაცობრივი აზრის თქმა შეგი-
ხდეთ ერთხელ, მაშინ რაღა, ქვეყნის აღმ-
შფოთებელად და ავაზაკად ჩაგთვლიან და
ეცდებიან ყოველს ღონის-ძიებით საფრხეში
ჩაგადონ; თუ ენით ვერა მოგიხერხესთ რა,
სხვა ნაირათ როგორმე—სულ ერთია... ამ
ჯოგიდგან განხლდა მაშინდელი ჩვენი ფაშა-
ყაზილარ.
როდესაც პირველად თათრებმა ჩინოვნიკები
გამოგზავნეს ჩვენში, სამართლის დასაწყობად,

ერთი ფაშა ძალიან გაკვირდა თურმე, რომ
ნახა თამასუქის მაგიერათ ჩვენი ხალხი ულ-
ვაშის ღერს აძლევდა ერთმანერთს; მაშინ
სიტყა იმ ფაშამ: «ეს პატიოსანი ხალხი, რამ-
დენიმე ითი წლის განმავლობაში, ისე გა-
იყვანა ჩვენს ხელში, რომ უღვაშის ღერს
კი არა, თავის ხელთ-ნაწერზედაც უარს ეტყ-
ვიან და დაიკარგება მათ შორის ყოველი
დარწმუნება და დანდობაო.» მართლაც, ეს
წინასწარ მეტყველება თითქმის აღსრულდა...
სამწინელი დრო იყო, იმ ყაზილარ-ფაშის
დრო! ვინც სინიდიანი და აზრის მექანი-
მოინახებოდა ჩვენს ქვეყანაში, ის ყველას
მხეცურის თვლით უცქერდა; ჩვენი ჩვეუ-
ლება, ენა მის დროს თითქმის გაჰქრა. იქამ-
დინ მიღწია მისმა უზრდელობამ, რომ ჩვენს
ხალხს სწავლის მიღების საშუალება მოუსპო;
ჯერ ის იფიქრეთ, როგორი სწავლა უნდა
ჰყოფილიყო ოცდახუთი წლის წინეთ ოს-
მალო საქართველოში, და მერმე იმისი აღ-
კრძალვა? სასაცილო არ არის ესა? მთელ
ოსმალო საქართველოზედ ერთი სასწაულე-
ბელი იყო და ყოველ წლებით მრავალ შ-
გირდებს უკან აბრუნებდნენ მშობლები სა-
ხლში, როდესაც იმათ მიღების უარს ეტყოდ-
ნენ სასწაულებელში იმ მიზეზით, რომ ადგილი
არ არისო, რასაკვირველია, მთელი მხარე,
გარდა რამდენიმე ათი კაცისა, მთავრობის-



შემთხვევა არ გაივლის ან სულ მარტო სპირტი არ მოქალაქობდეს და ან ღვინოში მინც «გასამაგრებელად» კარგად საჩინოდ არ ერიოს და ამასთან სულ უცხო და უცნაური სასმელები: ჯინი, ელი, პორტერი, ვერმუთი, მარასკინი, კონიაკი, ლიქორი და სხ. ამიტომაც ამ მხარეში და მერე მარტო ვაქებში კი არა, ქალებშიდაც, ნამეტურ დაბალ ხალხში, იშვიათი არ არის შემწვარ კობასავით გაწითლებულის და გასივებული ცხვირის, წამოგულადი და დაკარხლოულის თვალების და წამოზეული და წამოანათებული პირი-სახის ნახვა და ან სულ გამხტარის, გაყვითლებულის, უღიმღამო და გამოღამებულის ფიზიონომიის შეხედობა. ჩვენებური კაცი თუ წვეულების და ქარწილის შენაძლებებში გაქვიფიანებული, თორემ ტყუილა-უბრალოდ და უსაქმლოდ მინც არას დროს არ დაღვინდა დასათრობად წმინდა ღვინოსაც, არამც თუ სპირტსა და არაყს. ახლა კი ეს წესი ძლიერ შემოიღო საამიკიტროების და კერძო ოჯახობის «მხან ავთან ქვიფის გაწევაში» — ამ უაზრო და თავის გადასატანი წამხედურობის წყალობით, რომელიც ჯიბესაც და სიმრთელესაც ერთ დროს ჰგლევს და ძარს უთხრის და თან დაუთვლელ დანაშაულებს წაჰკიდებს გულ-კეთილად მიანსაც. საკვირველია, რომ, სადაც ბუნების საკვიროებისათვის გადაუჭარბებია მაგარ სასმელს და «ჯაჯარს და ნაღველს ახრჩობენ» არაყში, იმ ქვეყნებში სიფხიზლის მეტად ნეგოზას რამოდენიმე ნაბიჯი წინ გადადგამს და აქ კი სტუმრის ღვინოს შეპატრუების ჩვეულებაც სპირტზე გადადის. თუნდა ამ ორი ქალის სტუმარ-მისპინძლობას ეუყუროთ:

— ოჰ, მოგიკვდა ჩემი თავი, — ეუბნება დიასახლისი მეგობარ სტუმარ ქალს, — რავე გაგიშვა უღვინო, რავე დაემარხო ჩემი ოჯახი?

— რაჲომ იკადრებ, მე რა ბოდიში მიწადა, გარეშე სტუმარი ხომ არა ვარ? მიუგებს ამგზავრებული ქალი პირის საფეროდ.

— სპირტი მინც მიირთვი, თუ ჩემი რამე გწამს.

— აჰ! სპირტი მომიკლავს! თავ-პატის იდებს და თან იხვევა ძირს დასაჯდომად ჩვენი საპატრო სტუმარი.

— შენ არ მომიკვდე, ფრჩხილსაც არ გატყენს.

კენს. დაბრძანდი, თუ ჩემი თავი გინდა! — არ შემოძლია ზედაც წავეყარო: მაშინვე გულზე მეცემა... — ნუ გამაცულებ, ის შენი გაზრდილი ბატა ნუ მოგიკვდება!

— დედა-ღმერთო! რა ექნა! ჰა, ბატონო, გიახლები. ამ თქმასთან მოუჯდება პატარა წერილ დაბალ სუფრას, რომელიც ამ ლაპარაკში გოგომ გამოარბენია სახლიდამ და ზედ დალაგა სულუგუნი (გადახელილი ყველი). ცივი ღობი, დედო პურის ნაჭერი და ერთი პატარა ღვინო-და-გაზესი ბოთლი და ქიქა.

— ძალიან უკაცრავად ვარ თქვენთან ამისთანა მასინძლობისთვის, მარა თქვენგან დაძრახვას მინც არ მოველი. მისი სახელი დილოცა, და ღმერთმა სულ მოგიძულა ჩვენი ქვეყანა — ჯიჯრის დასაწერი ღვინო არ მოგეცა, რომ მისი სახელი მინც გვეხსენებინა იჯარზე... მიირთვი რამე, შენი პირი მე!

— თქვენც მიირთვი რამე ჩემი პატის-ცემისათვის, დაიწვია მეგობარმა მასპინძელი.

— კი გენაცვალე, მეც გიახლები, უკეთესთან ვისთან ვსტამ. ესეც დაჰყვა ნებს და გვერდს მოუჯდა თუ არა, დაუსხა გვარაიანი მოზდილი ქიქა და დაუდგა წინ ამ სიტყვების დაყოლებით: დაილოცეთ, ღვინოს მაგიერად ეს მინც აგვიჩნდა, მაღლობა ღებოთ, მიირთვი!

— ჯერ თქვენ დაილოცეთ...

— არა, ეს არ მომიკვდა. გააწყვეტინა იმას სიტყვა და თან მკლავზე ხელი დაადგა.

— რავე იქნება, ეს არ მომიკვდეს, შენს უწინ მე ღვინო არ დაველიო!

— ვარა, თუ ღმერთი გწამს, ღვინო სად არის; სალოცავ ტურშიდაც თუ მქონდეს, ჩემი სიკვილი მალე გაგეგონოს. მიირთვი, თუ ბატა გიყვარს!

— დიდება ღმერთსა, ღმერთო, შენ მომხმარე! ღმერთო, უმატე ამ ოჯახს; ღმერთმა თქვენი პატისცემა ნუ მომაკლავს! ამ ლოცვასთან გადაშუშნა მთელი ქიქა, შეიქმუნა და გაწითლებულმა წამოიქიქა: ოჰო, ოჰო, ცეცხლი მომიკლავ, დამწვია!...

— იქით! შენ მტერს ღმერთი გაუწყრა, ჩვენი სიმიდის სპირტი რავე დაგწავს? პირველად მეც ისე მეგონა, მარა ახლა ხუთიც რომ გიახლოთ, არც დამწვავს და კიდევ კარგ

გუნებაზე მომიყვანს. ამასობაში კიდევაც ისე გადაუსვამს სასეც სტაქანს ჩვენი დიასახლისი, რომ თელსაც არ დაფახურებს და მერე უფრო გახალისებული აძლებს სტუმარსაც სანამ ორ სტაქანს კიდევ არ დაამატებინებს და თვითონაც არ გადაუძახებს არ მოეშვება; ბოლოს შეზალხომებულზე კარგად გადაცილებული გამოეთხოვება კიდევ უფრო თავფხვს-წართმეულს, თავის პატის-ცემულ სტუმარ-მანდილოსანს....

და ეს ახლა არაფერი ძვირი და გასაკვირი საქმეა შესახდომად; ყოველს ოჯახში ყოველდღე განმეორებული ჩვეულებრივი ამბავია და არა მარტო ქარწილის ჰირველობის დროს, როდესაც, რაღა თქმა უნდა, ბახუსის სრული ბატონობა არის და ამისთანა თავმოცემულ ბატონობაში, ვინ არ იცის, რომ ჩვენს ლხინებში ხან-და-ხან «ნუნუსა» ორთქლით არეული ტენი ხრამოსაც დაატრიალებს თან-მამელის სამეგობროდ და თავის ფალანგის გამოსაჩენად, ვისმე ღვინო ავთმეოფს სისხლსაც გაართმევს, ან გაართმევენებს, ნამეტურ რომელიმე დაჩემებული და თავმოშორე ვაქები, რომლებიც ამისთანა ბეობაში ეძებენ სახელს. წლებადღეს ქორწილებს ჩვენი ვალები ამგვარებს ხშირად არ აკლებდენ, როცა ლხინს თავისი ყოფნით ამ შევენებლენ და კიდევ უფრო აშფოთებდენ.

მეგობარ-გზავრებზე დაწერილი.

(გაგზავნა შექმნა № 50).

ოჯახური, 29 დეკემბერი.

რამდენი კაცია დედა-მიწაზე, რომ დღითი დღე, კვირიდან კვირამდის, წლიდან წლამდის ისე ატარებს თავის ცხოვრებას, თითქო მათთვის არა-ვითარი საქმე არ გაჩენილიყოს. ესენი უფრო ხშირად ცხოვრებენ ანუ მდიდარი მამა-პაპების შრომით, რომელითაც ამყობენ, ან და რომელიმე ბედნიერი შემთხვევის გამო, შეძენილი ქონებით. ამგვარი კაცების დაახლოებით გაცნობისაგან დარწმუნდებით, რომ იმათ ტენს დაუკარგავს ის ღვთიური ნიჭი, რომელსაც აზროვნებას ეძახიან და იმათი სულის მოძრაობა უფრო ინსტინქტურ — პირუტყულ მოძრაობას

ჩამოგავს ვინემ ადამიანისას. ამათგან წარმოადგარი ენება და იმათი საზოგადოებისადმი დანაშაულობა მდგომარეობს იმაში, რომ ერთობ დამორებულან ნამდვილადამიანურ ცხოვრებასთან, კეშმარტის კაცის დანიშნულებასთან, რომელიც თხოულობს დაუსაბამო ბრძოლას თავის თავთან და გარე-მოცულო გარემოებასთან. მაგრამ ამათზე უფრო საზიზღარი ისინი არიან, რომელიც თითქოს ამიტომ გაჩენილან ქვეყნაზე, რომ ორივე ხელგებით ბოროტება სთესონ: ისინი თავ დაუზოგველათ და თითქმის სინარულით ცდილობენ, რომ ყოველ ბოროტ საქმეს ხელი მისცენ და ფეხზე წამოაყენონ. — ამ ნაირი პირები უფრო ხშირად იპოვებიან, ვინემ პირველნი; ამის გამოცხოვრება ისეთ ნაირად დახლართულა, რომ ადამიანს სულის მობრუნება უჭირს: თითქო კაცს ის არ ეყოფოდეს, რომ ის მუდამ დღე იმ დიდ ბრძოლაში მონაწილეობას იღებს, რომელსაც ბუნებასთან ბრძოლას ეძახიან და რომელიც ასე ნაირად უძნელებს კაცს ცხოვრებას. ჩვენში ისტორიულად დაუდგამს ფევი შურს და უთანხმოებას. არც დიდ საქმეში, არც პატარაში ვერ ასცილდება კაცი, რაც უნდა კარგს სანატრელ და სასარგებლო საქმეს მოჰკლავს ხელი, რომ ათასმა და ორი ათასმა სხვებმა ამისი თავიდამევე ჩაუტევა არ მოიწადინოს. —

ჩვენ ოჯახურების ცხოვრებაგანს ვას არ ახსოვს, რომ შარშან ზამთარში ერთმა საპატრო ოჯახურებმა მოინდომა, რომ მისსაკუთარ სახლში ყოველ კვირაში ერთხელ შეკრებილიყვენ ყველა მსურველები და მოელაპარაკებინათ სხვა და სხვა წყაროების აღმოჩენაზე საქალებო უფასო შკოლის გახსნისათვის; ამ შენეირი აზრის გარდა, ამავე პირს, სხვა წევრების შემწეობით, უნდადასაუკეთესო პერიოდული ჟურნალებისა და გაზეთების გამოწერით გაესხნა კითხვის სურვილი და ცნობის მოყვარება მხალ გაზდაყმაწვილებში; აგრეთვე შესაძლებლათ დანიხეს, რომ დრო გამოშვებით ქართული წარმოდგენებიც გამართულიყო იმავე შკოლის სასარგებლოთ.

მაგრამ ეს შემენეირი აზრები ისე უცებ ჩაიფუშნენ, თითქოს თავის ღვინოც იმათზე ფიქრი არ აღძრულიყოს. მიზეზი იგივე გახ-

ვან მოსყიდულთა, უკმაყოფილოდ იყენენ დრტინადენენ, მაგრამ რა უნდა ექნათ? «დათვი რომ მოგერიოს, ბაბა დაუძახეო...» ასე იყო ჩვენი საქმეც...

უკანასკნელი, დასრულდა ისკანდერის სამსახურის დროცა და ახლად უნდა მოგვეხდინა კენჭის ყრა. ყაზიდარ ფაშას, რაც კი გაუვიდოდა არა უზოგავს რა, რომ ისკანდერ-ბეი არ აგვერჩია ხელახლავ; პირადმა მტერობამ, ისე აღძრა ეს უგუნური კაცი, რომ ისკანდერის აღმორჩევას პოლიტიკური მნიშვნელობა მისცა უმაღლესი მთავრობის წინ. ერთხელ მოიხმო თავის ქვეშევრდომი ბეგები და გამოუტყდა, რომ ვინც ისკანდერის აღმორჩევას უწინააღმდეგებს, ის მთავრობის ერთგულებას დამტკიცებს და დავაჯილოვებო; მე თქვენ ვიბრძანებთ, რომ შევაგონოთ თქვენს მახრის აღმორჩევლები, თუ ხანტქრის მმართველობის ვალახვა სურთ, მაშინ ამორჩიონ ისკანდერ ბეიო.

«ძვირათ მახსოვს, ჩემს სიცოცხლეში, იმ დროისთანა ვაცხარებული პარტიების ბრძოლა, ოსტატობა, გამბედაობა, თავიღებულის მეცადინება. ის შრომა, რაც მაშინ ჩვენ გავსწიეთ, უკეთესი საქმის დარსი იყო; მაგრამ არ ვნანობ! თუ სხვა ნაყოფი არ მოიტანა იმ გამოჩვენებმა, ერთი მინც შევიტყეთ: როცა საქროა, ერთად მოქმედება

და ძმურად საქმის წაყენა შეგეძლებია... დადგა კენჭის ყრის დღე; გაჩნდა ფულების გარდაცემ-გარდმოცემა, საჩუქრები, ნათესაობის მოგონება და სხვა... მაგრამ ისკანდერის მომხრეები ვერ გახარეს ათასნაირმა დაპირებამ და ფაშისგან გამოგზავნილმა პირებმა. ვერა მოახერხა რა ვერც ნიშნების (მაშინ ფაშობა ჰქონდა) ქალაქუნობამ და საღამოებმა, ვერც ახმან-ბეის სიმდიდრემ, რომელსაც კენჭი წართმეული ჰქონდა, და უფრო მოახლოურ ხელობას ეწყობოდა, ვერც მელა-ფაშის გამოცდილებამ და თავლით მფრქვევებმა ენამ...

რამდენი ახირებული და სასაცილო ამბავი მაშინ მოხდა, რომ მოგიყვე, ბევრ ხანს ვერ დავასრულებ. მხოლოდ გეტყვი, რომ ისკანდერ-ბეი ხელმეორეთ აღმოვიჩინეთ და მისი წინააღმდეგი ისე გაუაშავეთ, როგორც ყოვანი.

«ხალხი აღტაცებაში მოვიდა ამნაირათ საქმის დაბოლოებით; ყაზიდარ-ფაშა კი არც მეკადრი იყო, არც ცოცხალი; იფიქრა — თუ სამართლით ვერას ვაგებდი, რასმე შარს მოვდებ და მინც დავშლი ამ გამოჩვენებასო. მართლა, შეადგინა ქალაქი, რომელშიდაც ღმერთმა უწყის მხოლოდ, რა მოხმანა, რა იყებდა და მოახსენა უფროს მმართველს რომ გაეუქმებინა ეს ჩვენი ნაწარმოები. მმარ-

თებელი ძალიან მწყალობელი იყო ყაზიდარ ფაშისა და ჩვენი გამოჩენული კაცები ყველანი გარდაყენა, როგორც მმართველობის წინააღმდეგნი, კანონის დამარტვევლნი და ისეთი პირები დანიშნეს, რომელიც ყაზიდარ ფაშას მოსწონდა... საზოგადოება ირეკდა და დედადა ამგვარ უსამართლობაზედ; ხონტქარსაც მოახსენეს, მაგრამ ყველაფერმა უქმათ ჩაიარა.

მოვიდა გამოჩენების დროც; ვინც ვიყავით შევეკრებით და გარდაუსწყითეთ, რომ უნდა მიგულვიყავით ფაშასთან და უნდა გვეთქვა:

რადგანც თქვენი ნების გარეშე მოქმედება არ შეგეძლია და ჩვენს კენჭის ყრას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონებია, ვიბრძანეთ მინც: — ვინ აღმოვიჩინოთ მომავალი დროისთვის? ყაზიდარ ფაშას ძალიან მოეწონა ეს სიტყვები; თურმე, ნამდვილ ჩვენ აზრათ მიიღო ეს სიტყვები! ამნაირ პასუხზედ აღარ შეიძლებოდა სიცოცხლის შეკავება და უთხარით, რომ ჩვენ სრულიად არა გვსურს არც კენჭის ყრა, არც თქვენით რაიმე საქმის გაკეთება; თუ კიდევ არ მოგიყენებ, მაშინ რასმეს ვიფიქრებთ ჩვენცა, მეტი, და გამოვედით მისი სახლიდგნა. ბევრი მოცადინებოდა და შრომა დავდევით, მაგრამ არა გავეწყუა რა, ვერ მოვიშორეთ თავიდან ყა-

ზიდარ-ფაშა. უკანასკნელად, შევიყარეთ რამდენთამე ყმაწვილ კაცთა და გვინდოდა რაიმე მტკიცე გადაწყვეტილება მოგვეხდინა; მაგრამ ჩვენი განზრახვა შეგვეტყეს და ამის შემდეგ, ჩვენი დარჩენა იქ აღარ ვარგოდა; და გადმოვარდით თავისუფალ ქვეყნებში საცხოვრებლად. ჩემს სამშობლოში აღარ მიმესვლებოდა; ვიფიქრე: სხვაგან მინც ვიბრძოლებ თავისუფლებისათვის, იქნება ჩემს ქვეყანას დავწლად ჩაეთვალს, მეტი... იტალიაში, საბერძნეთში, საფრანგეთში, ყველგან თავისუფლების ბაირალის ქვეშ ვიდეგ და მიწადოდა შემწეირა ჩემი სიცოცხლე კეშმარიტებისათვის; მაგრამ შემობრალა ღმერთმა, ყოველგნით ცოცხალი გამოვედი. იქნება, ჩემი ქვეყნის უფრო ბედნიერ დროს მოვესწრო და ამისთვის არ გამოვირა ბედმა. ვინ იცის!..

დაასრულა ეს ამბავი მოხუცებულმა და მის მალალ შუბლზედ რაღაცა ღრმა ფიქრი გამოიხატა...

დ. მიქელაძე.

ზარიფი, ნოემბერი.



ლდო, რაც ზემოთ მოგახსენეთ: ენ ცის, როდენი ჭორები არ მოუგონეს ამ საღამოებს და რა და რა გვარი მნიშვნელობა არ მიაწერეს! ამ საღამოების მტრებათ უფრო ისინი აღმოჩნდნენ, რომელთაც, ბავშობიდანვე შეზღვილი შიშის გამო, ცხვირის და ცემი დანაშაულობათ მიანიათ...

ამ ცოტა ხანში ჩვენ გაეგონეთ, რომ აქაური უფლის ნაჩაღნიკის მეუღლეს ნ. ი. ვახრამიძისას ძრიელ მოუჭურებია, რომ შკოლის საქმე ხელახლა გაიღიძოს. ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენ ქალებს წარმატება ჰქონდეს ამ ახალ სფეროში, სადაც ისინი აღმოჩნდნენ ნამდვილ თავის მნიშვნელობას, სადაც ნაცვლად ჭორიკონაობისა, დაუბოლოებელი კაზმისა და ცუდად და უბრალოდ დროს ტარებისა, ისინი შეეჩვივნენ ახალ ცხოვრებას, რომელიც თხოვლობს დედაკაცისაგან მეუღლობას იმ მიმეუღლის ტვირთვაში, რომელიც ღმერთს კაცისთვის მოუწვდია.

ამნაირად ჩვენმა ჩაუფუჭულ იმედებმა ხელახლად გაიღიძა. წყაროები, რომელნიც პირველ ამ საქმის დაწყებაზე აღმოჩნდნენ, ახლო მით უმეტეს გამოინახებინან, რომ ეს საქმე ახლა უფრო საიმედო გზაზე დამდგარი. ნ. ვახრამიძისას ადვილად შეუძლია გამართოს ოზრუფეთში დრო გამოშვების სპეციალები, აგრეთვე ყველა საზოგადოების წევრებს, შეძლების დაგვართ, დროებითი ანუ ხანგრძლივი შემწეობა მოახდინოს; თვით საზოგადოებას, იმავე პირის შემწეობით, შეუძლია დასდეს კანონი, რომ იმ პირებმა, რომელნიც თითქმის ყოველდღე თავდაუზოგველად ქალაქის თამაშობას ეწაფებიან, თავიანთი მოგებისაგან რაოდენიმე პროცენტი შკოლის სასარგებლოდ გადასდენ. ეს უკანასკნელი დიდ შემწეობას მისცემს საქალბო შკოლას, (რადგან, ღეთის მადლით, მოთამაშების რიცხვი ჩვენს ქალაქში ცოტა არ არის). გარდა ამისა, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამისთანა კეთილ საქმეს არც ის თავდაზნაურები, დააკლებენ თანაგრძობას, რომელნიც სოფლათ სცხოვრობენ. ბოლოს ეისურვებთ, რომ ამ საქმეს ის ბოლო მისცემოდეს, რომელიც ჩვენ მისთვის გესურს; ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენ საზოგადოებას დაენახოს, რომ მისი წინაწასვლა და ცხოვრების გაუმჯობესება უმეტესად ქალებზეა დამოკიდებული, რომ იმის დღევანდელი უფერულობა და უგეანობა შესაძლებელია შეიცვალოს მხოლოდ კარგი დედების და მეუღლების შემწეობით და რომ ჩვენს ქალებსაც ის ცხოვრების გზა ამეჩრჩიოს თავის მიზნით, რომელსაც მიხედვეთ განათლებული სახელმწიფოების ქალები, —

კოსტანტინე გავიძე

რუსეთი

გაზ. «კავკასი» №-ში გამოცხადებულია რუსეთის სახელმწიფო შემოსავალ-კასავალი, რომლიდანაც ხანს, რომ წრევანდელს წელს სახელმწიფო შემოსავალი 517,349,834 მანეთი იქნება და გასაგავალი 517,322,162 მანეთი. მაშასადამე შემოსავალი 27,672 მანეთით გარდაემატება გასავალს.

**

სამარის გუბერნიის ერობამ ამასწინათ გადასწყვიტა, რომ ჩვენს ქალაქში ისეთი სახლი გაემართოს, სადაც ახალ-გზად დამნაშავეები მივიღოთ და წერა-კითხვა და რაიმე ხელობა ვასწავლოთ. ამგვარი სახლას გასამართავად, ერობამ ყოველ წლობით თავის შემოსავალიდან 2,000 მანეთი დანიშნა.

* * * კოსტრომიის გუბერნიის ერთს საუფლო ერობაში მოლაპარაკება ყოფილა, რომ ჩვენი სასოფლო შკოლებიდან გამოსულ გლეხ-კაცების შეიღებს ხშირად წერა-კითხვა ავიწყდებოდა, რადგან ისინი ამ შკოლებში სწავლის შესრულების შემდეგ, საკითხვე წიგნებს ვეღარ შოულობენო. ამის გამო ამ ერობას გადაუწყვეტია, რომ სოფლებში სახალხო ბიბლიოთეკები გაემართოს. ამ თვით ხუთს უფრო ხალხიან სოფელში აპირებენ ამგვარი ბიბლიოთეკების გამართვას და თითო ბიბლიოთეკისათვის ას-ასი მანეთის წიგნების დაბარება განუზრახავეთ.

**

ცალკე კომიტეტს უკვე შეუდგენია სამხედრო კანონების (საყოველთაო ჯარის მოკრების) ახალი პროექტი და წარუდგენია სახელმწიფო რჩევაში. ეს პროექტი 140 მუხლისაგანაა შემდგარი. ამ პროექტის სხვა დამატებისა და განმარტების შედგენა სამხედრო, შინაგანი საქმეებისა და ფინანსის სამინისტრებსა აქვთ მინდობილი.

**

«დროების» წინანდელ №-ში ერთი რუსული გაზეთიდან მოყვანილი იყო ამბავი, რომ დერბატის უნივერსიტეტს პოლოცკში უპირებენ გადატანასო. ეს ამბავი, როგორც «მმართველობის მოამბე» გეაცნობებს ეხლა, ტყუილი აღმოჩნდა.

**

ელადიმირის გუბერნიის აზნაურობა ყოველ წელიწადს 10,000 მანეთს აძლევდა ვლადიმირის კლასიკურს გიმნაზიას და ამ ფულებით რამდენსამე ყმარწილს ზრდიდა ამ გიმნაზიის პანსიონში. უკანასკნელს კრებაზე აზნაურობას გადაუწყვეტა, რომ, რადგან ამ პანსიონში ჩვენი ხარჯით ყოფი ყმარწილები ძალიან იშვიათად ათავებენ კურსსაო და საზოგადოთ ცუდად სწავლობენო, ამიტომ უკეთესი იქნება, რომ ეს ფულები სტიპენტიებად დაენიშნოს და გაძლიოთ ისეთ ღარიბ აზნაურების შეიღებს, რომელნიც თავიან სახლში იცხოვრებენ და არა გიმნაზიის პანსიონშიო.

ეს განკარგულება რუსულ გაზეთებს ძალიან მოსწონთ; ისინი ამტკიცებენ, რომ დაკეთილი სასწავლებლები ყმარწილის ზნეობით მხარეს უფუტებს და სხვა გეარათაც მივებელიო.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

ვის არ გაუგონია ხშირად ის აზრი, რომ, რა პოლიტიკური აზრისა არის ხალხიო, იმნაირი მმართველობა ჰყავსო: ამერიკაში, შეერთებულ შტატებში ვინმე რომ მონდომოსო მფლობელობა, მონარხის დაფუძნება, იმას გეჟათ ჩათვლიანო ამ აზრს თავისი საფუძველი აქვს; მაგრამ ეს მატემატიკური ფორმულა ისე მტკიცეთ, ისე სრულიად არ შეეხება კაცობრიობას: სხვა და სხვა მიზეზები სხვა და სხვა ფრად სცელიან კაცის ცხოვრებას. ახალი მხარე, ამერიკის შეერთებული შტატები, შერდგენილია სხვა ელემენტებისაგან, იქ კაცობრიობამ დააწყო ცხოვრება სხვა გეარათ. როცა ეგროპაში საზოგადოების უკეთეს ნაწილს დევნიდნენ, როცა მმართველობა ავიწროებდა როგორც ზნეობით ისე გონებით დაწინაურებულ ხალხს, ისინი სტოცებდნენ თავიანთ მამულს, თავიანთ ოჯახს და გადადიოდნენ თავისუფალს ამერიკაში; ყოველთვის ბრძოლაში, ყოველთვის

მუშაობაში ატარებდნენ ისინი ცხოვრებას, იმათ ჰქონდათ მხოლოდ ერთი ნუგეში, რომ ისინი თავისუფლები არიან, რომ იმათ თავიანთ აზრისა და რჯულის არ უნდა ემინოდეთ და შეუძლიათ თავისუფლად გამოთქვან თავიანთი, აზრები. თვითანთ შეიღებს და შეიღვიღებს დაუტრავეს მათ თავისუფლება, მამულის სიყვარული.

დასავლეთი ეგროპა საესეა ცრუ მორწმუნე ბით, ის ერობაშით გერდატოვებს მამაპაპის შეცთომებს; აქ ახალი აზრი, ახალი შეხედვეა ცხოვრებაზე, სანამ მი ეღს საზოგადოებას შემოიღოს, მინამდისინ გადიტანს რამდენსამე ას, ;ათას სხვერპლს. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოგიდგენს საფრანგეთი.

საფრანგეთში მომეტებული ნაწილი რესპუბლიკელები არიან; ბოლონდელ აღმორჩევამ ეს ძლიერ ნათლათ დაამტკიცა; მაგრამ საფრანგეთი ახლა იმ გეარს მდგომარეობაშია, რომ ჩვენ ვერ შეგვიძლია წარმოვთქვათ, თუ რა გეარი მმართველობა იქნება იმას ხელო. მთალი მხარეს ბედი ერთს კაცზეა დამოკიდებული; ტიერი თუ მოკვდა, იმას გადაჰყვება თან რესპუბლიკა. ერთი რეფორმა არ მოხდება ამ უკანასკნელ დროს, რომელშიაც ტიერს არ მიეღოს მონაწილეობა, ერთი ცვლილება არ მოხდება, რომლის ბედი და უბედობა ტიერს არ მიეღოს თავის თავზე; როცა ტიერი წარუდგენდა თავის წინადადებას და ნაციონალური კრება უარს ჰყოფდა ამაზე, მაშინ ტიერი დააპირებდა პრეზიდენტობისგან გარდადგომას, თუ არ მიიღებდნენ ამ იმის წინადადებას.

ეხლა ტიერს სურს დაწესოს იმგვარი ზემოპალატა, როგორიც ამჟამად ინგლისში არის, მხოლოდ იმ გარჩევით რომ ამ ზემოპალატაში წევრნი ამირჩევიან ნაციონალური კრებიდან, და არა არისტოკრატებიდან, რადგანაც საფრანგეთში რევილიუციის შემდგომ მთელი ხალხი შეადგენს ერთს წოდების საზოგადოებას. თუმც ტიერს ადრევე ჰქონდა ფიქრში ზემოპალატის დაწესება, მაგრამ აქნობამდის ის არ ცდილობდა ისე, როგორც ახლა. როდესაც ტიერმა დაკარგა იმედი, როდესაც იმან ვერ შეიძლო შედგენა დიდი მმართველობის პარტიისა, მაშინ ენერგიულად შეუდგა ზემოპალატის დაწესებას. ზემოპალატას ექნება დიდი ძალა ხელში; ერთი კანონი ვერ გევა, ერთი რეფორმა ვერ მოხდება, სანამ ზემოპალატა არ დათანხმდება იმაზე, ტიერის აზრით, მაშინ ნაციონალური კრება ვერ გაბედავს მმართველობის გადაბრუნებას და შეცვლას. იმას აქვს იმედი, რომ ადვილათ მოიმხრობს თავისკენ ზემოპალატას. ტელეგრამამ კიდევ გეაცნობა, რომ ერთი ნაწილი დიუფორის კომისიის, რომელსაც აქვს მინდობილი განხილვა და შედგენა კონსტიტუციის კანონებისა, და თანახმა ტიერის თხოვნაზე, მხოლოდ იმ პირობით, რომ ტიერმა დღის შემდეგ აღარ მიიღოს მონაწილეობა ნაციონალური კრების და ბასში) ნება ჰქონდეს სიტყვის წარმოთქმისა მხოლოდ უფრუ შესანიშნავ და დიდი საქმეებს დროს.

წარმოიდგინოთ, რომ ტიერის სურვილი ასრულდეს; წარმოვიდგინოთ, რომ დაფუძნდეს ზემოპალატა, — ეს საშუალება გაუმჯობესებს განა საქმეს? განა ეს გაუმჯობესებს ფესს ახალ დაწესებულს რესპუბლიკას? ზემოპალატაში ამირჩევიან ის რესპუბლიკის მტრები, რომელნიც ეხლა სხედან კრებაში; მაშინ იმათ უფრო მომეტებული ძალა ექნებათ, მინამ ეხლა.

მიგატკიოთ ჩვენი ყურადღება მეროვ მხარეს. რას აკეთებენ ამდროს რესპუბლიკის მტრ-

ნი? დენერალი ბურბაკი ლიონში აშაადებს ჯარს, უნიშნავს იმ ნიშნას, იმ სიგნალს, რომლის ხმაზედ იმათ უნდა მოიყარონ თავი ციხეში და იქიდან დაუშინონ ტყვეები საწყალ მცხოვრებლებს და მოქალაქეებს; ის მოცილის, რასაკვირველია, აჩუქდობას. დენერალი დიუფრო პირ-დაპირ უტყბადებს ჯარს, რომ იმათ მოამზადნენ თავიანთ თოვ-იარაღი და აღესონ ხმლები: ამ დღეებში ის ეღის მმართველობის ცვლილებას.

კლერიკალები ცდილობენ, რომელიმე მიზეზი ჰყოვან, რომ გამოსდნენ ფეხი რესპუბლიკას და გაულაშქრდნენ იმ რესპუბლიკელებს, რომელნიც ითვლებიან მმართველობის წევრათ. აი, იმათ მოახსენს უბრალო მიზეზი. რომში ამჟამად იმყოფება ორი საფრანგეთის ელჩი, ერთი იტალიის კაროლთან ჭურნიე — რესპუბლიკელი, მეორე რომის პაპსთან ბურგონი კლერიკალი. რასაკვირველია რომ ამათ ორთავეს ერთობაარ ჰქონდათ. ჰუქმში ხომალის კაპიტანს, რომელიც ჩივიტა ვევიამი დგას, მოუვიდა ორივესაგან ბრძანება მიელოცათ კაროლისთვის და პაპისთვის. ეს იყო მიზეზი, რომ ბურგონმა დატოვა თავის ადგილი და კიდევ წამოვიდა საფრანგეთში. კლერიკალებმა მოითხოვეს ამ ამბავის განხილვა და ეშუქრებოდნენ მმართველობას, რომ თუ ეს საქმე არ განიჩიოთ, ჩვენ რამუზას — გარეშე საქმეების მინისტრის, (რომელიც მტერია კლერიკალებისა დათხოვნას) მოვიტხოვეთო.

ინგლისი

ამას წინათ ბირმინგამში შეკრებილა დიდძალი მიტინგი, რომელსაც ჰქონია მოლაპარაკება იმაზე, თუ როგორ შეიძლება, რომ შემდგენი ხალხებს შუა ომიანობა მოსპოსო. ამ მიტინგს გადუწყვეტია, რომ საუკეთესო საშუალება მედიატორების სასამართლო იქნება, ისეთი სასამართლო, როგორც შარშან ქენევაში იყო, რომელმანც ამერიკასა და ინგლისს შუა უთანხმოება შმიცდობით გადაწყვიტა. ამბობენ, რომ ერთს დეპუტატს ჰსურს, ამ მოკლე ხანში ამგვარი წინადადება ინგლისის პარლამენტში შეიტანოსო.

ნარკვი

მეითხველმა იგის, რომ ამერიკაში სხვა უწყებათა შორის, ქალებს ფაქტის უწყებათაგან იღვიენ სხვა და სხვა სახელმწიფო თანამდებობაში მთელი ამერიკის შეერთებულ შტატებში ამჟამად 32,000 ფაქტის განტარდა და ამ რიცხვში 700 განტარის მმართველებად ქალები არიან. მარტო განტარების ფაქტობაში 63 ქალი მსახურებს. თვითან ამერიკის ფაქტის დირექტორია იწყება, რომ საზოგადოთ ქალები განტარებულან ან სხვა რეპუბლიკის მოკალეობასო. ამერიკას გარდა, ამჟამად გერმანიას და სოკ სხვა ქვეყნების ფაქტობაშიც მსახურებენ ქალები.

**

მომავალი ფებრუარის შეიღს პოლიკელები თავის თანამდებობის, გამონახილი განსკველავთ-მმართველის კანონების 400 წლის დაბადების დღეობას დღესასწაულებს. ამ დღისთვის იმათ დაიშადაუული ქსებათ ამ კაცის ქეგლი, რომელავ განსაკვანა გეგეუთუდა და რომელსაც მამის აკურისებენ და გხხხიან...

**

დიდი ხანა არ არის, რაც ლანდონში ერთი მეცნიერი ინგლისელი მიიგვდა, სასკვად ბურინგა, რომელსაც თავის სიღვრესეში ანხე მქტი წიგნი დაუწერია სულ სხვა და სხვა სხვერპლებზე; მაგრამ ეს ცეცია ამით გე არ არის შესანიშნავი: შესანიშნავი იმითა, რომ, როგორც ამტკიცებენ, ამ ბურინგამ ორჯი ენა იცვადო და ამ რიცხვში სმარტი ისე კარგათ იცვადო, რომ თავისუფლათ შექელო ამ ქსესე კარგათ დაზანავა და წერ-კითხვათ.

ВЪ КАБИНЕТЪ

моёму, находящемуся на Вельямновской улицѣ, противъ Англійскаго клуба, въ домѣ Кекудова, составляются дѣловые бумаги, канцелярскія прошения, апелляціи, кассации и проч. а также проекты всякаго рода нотаріальныхъ актовъ и обязательствъ.

Издана возможно измѣреніи:

Петръ Антоновичъ Чарковъ.